ხელშეკრულება №183სბ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
CPV- 50720000

ერთი მხრივ, **სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი** (ს/კ-211358957), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „ტე-ვე-კა პლიუს"** (სკ- 406200935) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის **ვასილ კაციაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე"- კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქვემო ქართლის რეგიონული არქივის შენობაში დამონტაჟებული გათბობის ქვაბისა და სანთურის შეკეთების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა №1 დანართის შესაბამისად.
CPV- 50720000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **- 360.00 (სამას სამოცი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას და თანმდევ მომსახურებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ი .

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს, ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

გ) მოსთხოვოს `მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

5. მომსახურების ხარისხი

5.1. გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა იყოს მაღალი და აკმაყოფილებდეს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანართი №1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს **სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი, ილია ლომიძე ან მისი დროებით მოვალეობის შემსრულებელი.**

6.3 საგარანტიო პერიოდში, სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში, შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს გაწეული მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს შესრულებული მომსახურების ღირებულება შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში.

7.მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ)ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №1-ით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული ნივთის ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.3 ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1(ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინითა და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. საერთო პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი	**შპს ,,ტე-ვე-კა პლიუს"**
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა- ფშაველას გამზ.№1	**მისამართი:** ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №48ა.
ტელეფონი: 238-14-25	**ელ. ფოსტა:** tvkllc@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა	**ტელეფონი:** 599-54-78-80
ბანკის კოდი TRESGE22	**საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"**
ანგ.№: GE24NB0330100200165022	**ბანკის კოდი:** TBCBGE22;
ს/კ - 211358957	**ანგ. №:** GE47TB7500936080100005
	ს/კ- 406200935

დანართი №1

შესყიდვის ობიექტის დასახელება	**მომსახურების აღწერა**	**რაოდენობა და განზომილების ერთეული**	**ერთ. ფასი დღგ-ს ჩათვლით**	**მთ. ფასი დღგ-ს ჩათვლით**	**მომსახურების გაწევის პირობები**
გათბობის ქვაბისა და სანთურის შეკეთება	ქვაბის საკვამურის დარღვეული ჰერმეტულობის აღდგენა	1 ცალი	80.00	80.00	**მომსახურების გაწევის ვადა:** ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) სამუშაო დღეს. **მომსახურების გაწევის ადგილია**: ქ. რუსთავი, ხალხთა მეგობრობის გამზირი, №20ბ; ქვემო ქართლის რეგიონული არქივის შენობა
	მართვის პულტის დარეგულირება	1 ცალი	80.00	80.00	
	სანთურის ელექტროდების გასწორება/დარეგულირება;	1 ცალი	100.00	100.00	
	სისტემის ექსპლუატაციაში გაშვება	1 ცალი	100.00	100.00	

სულ ღირებულება დღგ-ს ჩათვლით: 360.00 (სამას სამოცი) ლარი.

შემსყიდველი

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა- ფშაველას გამზ.№1
ტელეფონი: 238-14-25
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ანგ.№: GE24NB0330100200165022
ს/კ - 211358957

მიმწოდებელი

შპს „ტე-ვე-კა პლიუს"
მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №48ა.
ელ. ფოსტა: tvkllc@gmail.com
ტელეფონი: 599-54-78-80
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22;
ანგ. №: GE47TB7500936080100005
ს/კ- 406200935

Vasil Katsiashvili

Digitally signed by Vasil Katsiashvili
Date: 2023.12.21